



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ ალავეიძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:

ნინო გედეხაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნათია დარსაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ლელა კაკაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

თამარი ჩიმაკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ჩავლეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ირმა ხუნდაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ინგა ანდიაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან მეგრელიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სსამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	224628204

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ახმეტა
ფაქტობრივი მისამართი	ყაზბეგის ქუჩა N35
საფოსტო ინდექსი	0900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/dZ9wC
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Akhmeta2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577316719

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	28/05/2024 - MES 3 24 0000588632; 25/06/2024 - MES 6 24 0000748484
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 27 და 28 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (სკოლას აქვს ერთი შენობა.)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 800	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრული შესაბამისობით.

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.	4/4/2025 წლამდე სკოლამ უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. 22.07.2024-30.12.2024 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწესრიგება აუცილებელი რესურსით. (ელექტრო ენერგიით, წყლით და გამწოვი კარადით.)
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სკოლამ უზრუნველყოს XII კლასის გეოგრაფიის და მოქალაქეობის კურიკულუმების სრულყოფილად შემუშავება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. (22.07.2024-16.09.2024)
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სკოლამ უზრუნველყოს, საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების, კერძოდ გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების XII კლასის კურიკულუმებში, თემების და საკითხთა კლასტერების შესაბამისობაში მოყვანა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. 22.07.2024- 16.09.2024
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. 22.07.2024-30.12.2024 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწესრიგება აუცილებელი რესურსით. (ელექტრო ენერგიით, წყლით და გამწოვი კარადით.)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	რჩევა
ინდიკატორი N.		
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა: სასურველია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის კურიკულუმის რავიზიის შედეგები. წარმოადგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წინა წლის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების გამოცდილებას. კარგი იქნება თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს. ესთეტიკა: სასურველია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომები, რომელიც აისახება შემოქმედებით პროდუქტში.

2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა: შუალედური მიზნების განსაზღვრის დროს კარგი იქნება დაწყებით საფეხურზე შეთავაზებული იყოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებით პროდუქტის შექმნა. კარგი იქნება გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი, გადამოწმდეს თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სპორტი: სასურველია ჩართონ მშობლები სპორტულ აქტივობებში, მათთან ერთად დაგეგმონ გასვლითი გაკვეთილები, მოაწყონ ლაშქრობები, ასეთი მიდგომით ბავშვი მეტად დაინტერესდება საგნის მიმართ და მშობელიც აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: კარგი იქნება მატერიალური რესურსები მითითებული იყოს საგნობრივი კურიკულუმის შესაბამის ველში თემების და საკითხების შესაბამისად.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გათვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	უცხო ენა: სკოლას მიეცა რჩევა, რომ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში გაიწეროს სსსმ მოსწავლისთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის მოდიფიცირებული ვერსია.
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	ბუნებისმეტყველება: სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შეიცვალა სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. ასევე სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ II, III, IV კლასის კურიკულუმები. მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ესთეტიკა: სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკა: კარგი იქნება კათედრის სხდომებზე განიხილებოდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ეფექტიანობა რასაც მოჰყვება მათი დახვეწა. ასევე კარგი იქნება დაინერგოს მოსწავლეთა ნამუშევრებით შედგენილი პორტფოლიოების შედგენა-შეფასების პრაქტიკა. ესთეტიკა: სასურველია, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. სპორტი პედაგოგებს გასაუბრების დროს მიეცათ რჩევა, რომ თვალსაჩინოდ გამოაკრან შეფასების კრიტერიუმები, რათა ყველა მოსწავლემ იცოდეს წინასწარ რა მოეთხოვება და რა შედეგზე სურს გასვლა, ასეთი მიდგომა იქნება უფრო ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სპორტი: კარგი იქნება თუ შეიმუშავებენ სადიაგნოსტიკოდ შეფასების სისტემას, თუნდაც ნორმატივების სახით.



2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	მათემატიკა: კარგი იქნება კურიკულუმის ჩარჩოში თუ ჩაემატება რესურსების ველი, იმისათვის რომ გამოიკვეთოს სასწავლო პროცესში, რა ეტაპზე და რომელი საკითხის გავლის დროს რომელი რესურსის გამოყენება იგეგმება.
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა: კარგი იქნება თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	ესთეტიკა: სასურველია, ორივე საგანში ყველა საფეხურის კურიკულუმში ჩანდეს ძირითად რესურსად გამოყენებული გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით და დამატებითი რესურსები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა: კარგი იქნება შემდგომში კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მათი მშობელი, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და მოსაზრებები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს საგნობრივი კურიკულუმის რევიზიის მექანიზმი, რომლის შედეგებსაც გამოიყენებენ მომავალი წლის საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას, თუმცა გასაუბრების დროს პედაგოგებმა ღნიშნეს რომ კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წინა წლის კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების შედეგებს, კარგი იქნება თუ პედაგოგები სასწავლო წლის ბოლოს გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს. ესთეტიკა: სასურველი იქნება თუ შემუშავდება კურიკულუმის რევიზიის მექანიზმი, რომლის შედეგებსაც ასახავთ შესაბამის დოკუმენტში.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	მათემატიკა: სასურველი იქნება, გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი. გადამოწმდეს თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. სპორტი: სასურველია ჩართონ მშობლები სპორტულ აქტივობებში, მათთან ერთად დაგეგმონ გასვლითი გაკვეთილები, მოაწყონ ლაშქრობები, ასეთი მიდგომით ბავშვი მეტად დაინტერესდება საგნის მიმართ და მშობელიც აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა: კარგი იქნება მატერიალური რესურსები მითითებული იყოს საგნობრივი კურიკულუმის შესაბამის ველში თემების და საკითხების შესაბამისად.

2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	უცხო ენა: ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში გაიწეროს სსსმ მოსწავლისთვის კომპლექსურ დავალებზე მუშაობის მოდიფიცირებული ვერსია.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხო ენა: სკოლას მიეცა რჩევა, რომ თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საბუნებისმეტყველო სასურველია პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ ბიოლოგიის VIII, VIII, IX კლასების კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაიწეროს თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ესთეტიკა: სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში. სასურველია, კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ასახვა რომელიმე დოკუმენტში. იქნება ეს თავად კურიკულუმი, თუ კათედრის ოქმი.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკა: კარგი იქნება თუ მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გარდა კიდევ იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც მოსწავლეები შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკით. ესთეტიკა: სასურველია, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. სპორტი: პედაგოგებს გასაუბრების დროს მიეცათ რჩევა, რომ თვალსაჩინოდ გამოაკრან შეფასების კრიტერიუმები, რათა ყველა მოსწავლემ იცოდეს წინასწარ რა მოეთხოვება და რა შედეგზე სურს გასვლა, ასეთი მიდგომა იქნება უფრო ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სპორტი: კარგი იქნება თუ შეიმუშავებენ სადიაგნოსტიკოდ შეფასების სისტემას, თუნდაც ნორმატივების სახით.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა: კარგი იქნება მატერიალური რესურსები მითითებული იყოს საგნობრივი კურიკულუმის შესაბამის ველში თემების და საკითხების შესაბამისად.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	ესთეტიკა: სასურველია, ხელოვნებაში მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს მზგავსად ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებითა და დამატებითი რესურსები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა

2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა: სასურველია სასურველია საგნობრივიკურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის კურიკულუმის რავიზიის შედეგები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლილს დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წინა წლის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების გამოცდილებას. კარგი იქნება თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს. მათემატიკა: კარგი იქნება, გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი. გადამოწმდეს თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. ესთეტიკა: სასურველია ლუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან.გათვალისწინებული იყოს წინა წლის კურიკულუმის მონიტორინგის, რევიზიის და შეფასების შედეგები
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სპორტი: სასურველია ჩართონ მშობლები სპორტულ აქტივობებში, მათთან ერთად დაგეგმონ გასვლითი გაკვეთილები, მოაწონ ლაშქრობები, ასეთი მიდგომით ბავშვი მეტად დაინტერესდება საგნის მიმართ და მშობელიც აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა: კარგი იქნება მატერიალური რესურსები მითითებული იყოს საგნობრივი კურიკულუმის შესაბამის ველში თემების და საკითხების შესაბამისად. საბუნებისმეტყველო: -სკოლას აქვს ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის თვალსაჩინოებები, მულაჟები, მოსწავლეთა მიერ დამზადებული კომპლექსური დავალების შესრულებით შექმნილი პროდუქტები, რომელსაც იყენებენ თვალსაჩინოებად, თუმცა არ არის გაყვანილი ონკანი. ლაბორატორიას არ აქვს გამწოვი კარადა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად სარგებლობენ ვირტუალური ლაბორატორიითაც. სკოლას მიეცეს რჩევა-- უზრუნველყოს ლაბორატორია ყველანაირი რესურსითა და გაყვანილი იქნეს ონკანი.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა: კარგი იქნება თუ გამოიკვეთება როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს შეფასების რუბრიკების შეიქმნის დროს.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	მათემატიკა: კარგი იქნება კათედრის სხდომებზე განიხილებოდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ეფექტიანობა რასაც მოჰყვება მათი დახვეწა. ასევე კარგი იქნება

		დაინერგოს მოსწავლეთა ნამუშევრებით შედგენილი პორტფოლიოების შედგენა-შეფასების პრაქტიკა.
		ესთეტიკა: სასურველია, განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა პროექტის ეტაპების აქტივობებზე მორგებული, რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. სპორტი: პედაგოგებს გასაუბრების დროს მიეცათ რჩევა, რომ თვალსაჩინოდ გამოაკრან შეფასების კრიტერიუმები, რათა ყველა მოსწავლემ იცოდეს წინასწარ რა მოეთხოვება და რა შედეგზე სურს გასვლა, ასეთი მიდგომა იქნება უფრო ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სპორტი: კარგი იქნება თუ შეიმუშავებენ სადიაგნოსტიკოდ შეფასების სისტემას, თუნდაც ნორმატივების სახით.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა: კარგი იქნება თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.
2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	ესთეტიკა: სასურველია, ორივე საგანში ყველა საფეხურის კურიკულუმში ჩანდეს ძირითად რესურსად გამოყენებული გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით და დამატებითი რესურსები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადები, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკები. სკოლამ წარმოადგინა ასევე დანართები და მტკიცებულებები ხარვეზების გამოსწორების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და

მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლას აქვს მზაობა აღმოფხვრას მითითებული ხარვეზები. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული სტანდარტები საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად რიგი ინდიკატორებისა შეფასდა როგორც „შეესაბამება“

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლის მისიაა „მოვამზადოთ ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, წიგნიერი, ტოლერანტი, ინოვაციური, კონკურენტუნარიანი, გლობალურად მოაზროვნე, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი აქტიური თაობები, რომლებიც უკეთესობისკენ შეცვლიან მსოფლიოს.“ ხედვაში სკოლას გაცხადებული აქვს იყოს რეგიონში ზოგადი განათლების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლინება-დაკმაყოფილებაზე როგორც აკადემიურ, ასევე კლასგარეშე აქტივობების საშუალებით. სკოლა მიმართულია თვითმართვითი მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალისა და ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაზე, სკოლისა და მშობლების თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ხედვის მიხედვით, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენასა და დაკმაყოფილებაზე. ასევე, არაფორმალური განათლების და ამ პროცესში მშობელთა ჩართულობის გაძლიერებაზე. ამ მიზნით სკოლაში იგეგმება და ტარდება საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები, გასვლითი ღონისძიებები, შეხვედრები, კლუბური და წრეობრივი მეცადინეობები. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლეთა თვითმართვითი ინიციატივით, სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი:

ეკოკლუბი, რომელიც აქტიურად ერთვება ეკოლოგიურ პროექტებში და მოპოვებული აქვს ჯილდო „მწვანე სკოლის ეზო“. სპორტული კლუბი, რომელიც ჩართულია სპორტურ შეჯიბრებებში და ხშირად პირველი ადგილის მფლობელია

კინო კლუბი, რომელიც სკოლაში აწყობს თემატურ კინო ჩვენებებს და განხილვებს

ტექნო კლუბი, რომელმაც მოიპოვა გრანტი და ამ გრანტით შეძენილი ლოგოტექნიკით ატარებს გაკვეთილებს კითხვის კლუბი, რომელიც ზრუნავს წიგნიერების ამაღლებაზე. იმართება შეხვედრები მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, 2021-2023 სასწავლო წლებში განხორციელებული აქვს სასკოლო პროექტები: „კონფლიქტების მართვა“ და „ადამიანის უფლებები“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექციასთან და პედაგოგიურ საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ არსებული სკოლის მისია და ხედვა შემუშავებული იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-45ა 15 მაისი 2024 წელი) სამუშაო ჯგუფი შეიქმნა სკოლის მისიის და ხედვის შესამუშავებლად. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან დირექცია, მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. ჯგუფს დაევალა სკოლის swot ანალიზი. სასკოლო საზოგადოებას შესთავაზეს კითხვარი. ინფორმაციის დამუშავების შემდეგ წარუდგინეს შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და თხოვეს რეკომენდაციები. არსებითი შესწორება არსებულ დოკუმენტში არ შეუტანიათ, რადგან უმრავლესობა ეთანხმებოდა არსებულ ვერსიას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამიდად, სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებულია მათთან და გათვალისწინებულია მათი შეხედულებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები ატვირთულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების ვებ გვერდზე skolebi.emis.ge -ზე. აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია სკოლის ფოიეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება „სისიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლა“ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 13.09.2005-ის N448 ბრძანებით "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების და საჯარო სკოლის წესების დამტკიცების შესახებ" განსაზღვრულ სკოლის ტიპს და სახელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;

დანართი - ბრძანება N2-45ა 15 მაისი 2024 წ. სამუსაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

დანართი - პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

დანართი - სამეურვეო საბჭოს ოქმი;

დანართი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

დანართი - კლასის დამრიგებლის მშობლებთან შეხვედრის დამადასტურებელი ბარათი;

დანართი - სასკოლო პროექტების გეგმები;

დანართი - კლუბების წესდებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, დირექტორის ბრძანება N2-33ა 12 აპრილი 2024 წელი. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (შემდგომში - წესი) წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. გეგმის შედგენის პროცესი მოიცავს 5 ძირითად ეტაპს:

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი;

- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდწლიანია და მოიცავს 2024-2030 წლებს. გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. შემუშავებულია SWOT ანალიზის მეთოდით. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები თავსებადია სკოლის ფილოსოფიასთან და მოიცავს:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მხარდაჭერას;
2. მოსწავლეთა არაფორმალური განათლების გაუმჯობესება/ხელშეწყობას;
3. სკოლის ინფრასტრუქტურის სრულყოფას;
4. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას;
5. ადამიანური ღირებულებების პატივისცემას და აღიარებას.

მოკვლეული, დამუშავებული მასალისა და SWOT-ანალიზზე დაყრდნობით, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგიული მიზნები. სტრატეგიული მიზნების შემუშავებული პროექტი გაზიარდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, სადაც ჩართულ მხარეებს შეეძლოთ გაეკეთებინათ კომენტარები, რომლებიც დამუშავდა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ. პროექტი გაზიარდა შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- მასწავლებლები;
- მშობელთა კორპუსი;
- საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე არ გახდა საჭირო სტრატეგიული მიზნების მოდიფიცირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტით იკვეთება, რომ სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი რეალისტური აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
2. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1;
3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
4. სტრატეგიული განვითარების გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-3 თავში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესი. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს განიხილავს სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რის შემდეგაც მიგნებებს/დასკვნებს გაითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენისას და განსაზღვრავს სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის საჭიროებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას ეს პროცესი არ განუხორციელებია, რადგან სტრატეგიული განვითარების გეგმა ახალი შემუშავებულია. **ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**
3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები საჯაროდ გამოქვეყნდება სკოლის ოფიციალურ გვერდზე, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იქნება ხელმისაწვდომი. შეფასების შედეგები საჯაროდ გამოქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზეც. პირველადი ავტორიზაციის გამო ეს პროცესი სკოლას არ განუხორციელებია. **ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**
4. **ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, სადაც 13 წევრია; დირექცია; დისციპლინარული კომიტეტი; პედაგოგიური საბჭო; მრჩეველთა საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; შვიდი საგნობრივი კათედრა: მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების და დაწყებითი განათლების. ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები. სკოლის ადმინისტრაციაში შედის: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, IT სპეციალისტი, ექთანი, ორი დარაჯი, ოთხი დამლაგებელი, ერთი ცეცხლფარეში. სკოლის დირექტორის დირექტორის ბრძანებით N2-34; 15/04/2024 წელი დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციური აღწერა. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ძირითად ფუნქციათა ჩამონათვალს. სკოლის თანამშრომელთა მოვალეობები შრომით ხელშეკრულებაშია გაწერილი. მასწავლებლებისთვის/სპეციალური მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. სკოლამ პერსონალისთვის ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების გაცნობის ფაქტის შესახებ მტკიცებულებად წარმოადგინა ორმხრივად ხელმოწერილი შრომითი

ხელშეკრულებები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან. სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში ფუნქციები გადანაწილებულია სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის საჭირო ადამიანური რესურსის ფუნქციების შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის მიზნებისა და ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N2-34 ბრძანებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;

წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება;

სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

სკოლის სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N2-34 ბრძანებით. პოლიტიკის ამოცანებია:

- ა. დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;
- ბ. დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;
- გ. დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით დასტურდება, რომ სკოლის პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია ეფუძნება სკოლის სტრატეგიას და წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს. ამ პროცესში თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა დასახული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-10 მუხლში გაწერილია კადრების მოზიდვის და შერჩევის პროცედურები. თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობის, გამჭვირვალების დაცვით შიდა და გარე კონკურსების მეშვეობით. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge/teachersjobs.ge.

კონკურსის ეტაპებია:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;
- გასაუბრება;
- კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები (N2-34; 15/04/2024 წელი).

სკოლამ სრულყოფილად წარმოადგინა დოკუმენტაცია დაწყებითი განათლების მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შესახებ. 2023 წლის 2 ოქტომბრის დირექტორის ბრძანება საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ, ოქმები განაცხადების გადარჩევის, გასაუბრების და შედეგების დადგენის.

ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მასწავლებელთა პირადი საქმეები. პედაგოგიური პერსონალის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირად საქმეში არ იყო ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში (დანართი N2) ასახულია ეს ცნობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებულია 41 მასწავლებელი. აქედან 1 მენტორი, 5 წამყვანი და 35 უფროსი. მუშაობს ერთი მასწავლებლობის მაძიებელი. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტებით თვალნათელია, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდური მუშაობის პრინციპზეა დაფუძნებული. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული აქვთ სასკოლო პროექტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლა ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ და კარიერულ წინსვლას. უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. წახალისებულია თითოეული ინიციატივა და სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სკოლა მადლობის სიგელს გადასცემს წარმატებულ პედაგოგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

ბრძანება საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ; ადამიანური

რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

ვაკანსიის გამოცხადების ვებგვერდის ლინკი;

მასწავლებლისთვის გადაცემული მადლობის სიგელი;

თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში. (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N2-34-ით 2024 წლის 15 აპრილს.) დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. შემუშავებულია ამ ჯგუფის მუშაობის დებულება. ხარისხის განვითარების ჯგუფმა წარმოადგინა გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირის ფორმა. ასევე, მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი ოქმებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ შეხვედრებზე ძირითადი აქცენტი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას, მასწავლებელთა მიერ კომპლექსური დავალებების განხილვას და მათ რეფლექსიას ეხებოდა. 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელდა სკოლის საჭიროებების კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 120 მოსწავლე და მათი მშობლები, ასევე დაწყებითი საფეხურის 27 მასწავლებელი. კვლევის ინტერვენციებს ახორციელებდა დაწყებითი საფეხურის 8 მასწავლებელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის შეფასების წესი. დოკუმენტში გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების შემოწმების პერიოდულობა და ვინ ამოწმებს. დოკუმენტი შემუშავებულია 2024 წლის თებერვალში და სკოლა ამ მიმართულებით საქმიანობას ახალი სასწავლო წლიდან დაიწყებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილის შეფასების ფორმები, ჩატარებულ გაკვეთილზე გაცემული უკუკავშირის ფორმა. პერსონალის მხარდაჭერის მიზნით, სკოლის დირექცია ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად მუშაობს პერსონალის შეფასებასა და განვითარებაზე, კერძოდ, პედაგოგის პრაქტიკის დახვეწისა და განვითარების მიზნით, წინასწარ შემუშავებული რუბრიკებით, ესწრება გაკვეთილებს, აფასებს მასწავლებელს, აძლევს უკუკავშირს და გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას. სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. ამ პროცესებს ხელი შეუწყო USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა ტრენინგებმა. გასულ სასწავლო წელს სკოლის ოთხმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესახებ მექანიზმი გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-18 მუხლში. მნიშვნელოვანია, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: 1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულყოფილებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს: სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე. თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში, სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, სამუშაოს შესაბამისი კულტურის, არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების, სამომავლო პერსპექტივების გაცნობა, მისთვის საჭირო დოკუმენტების გადაცემა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა ორიენტირებულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე და გამოხატავს მუდმივ მხარდაჭერას. მათი ინიციატივების განსახორციელებლად სკოლის დირექცია ქმნის შესაბამის პირობებს. ეხმარება მატერიალური და ადამიანური რესურსით. აქვთ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების გამოცდილება. მენტორი და წამყვანი მასწავლებლები უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას. ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენების შესასწავლად სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კაბინეტი, მომავალი წლიდან დაგეგმილია ტრენინგების ჩასატარებელი სივრცის კეთილმოწყობა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა შესაბამისი ლიტერატურით და რესურსებით, რომლის გამოყენება ხელმისაწვდომია სკოლის ნებისმიერი წევრისთვის.

სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლი გაწერილია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. ამ წესის მიხედვით პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

სკოლა ძირითადად იყენებს ა. და ბ. პუნქტებს. მასწავლებელისთვის მადლობის გამოცხადება და სიგელის გადაცემა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება;

ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება

ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი;

გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი;

ტრენინგებზე დასწრების უკუკავშირი;

მასწავლებელთა შეხვედრის ოქმები;

სკოლის საჭიროების კვლევა;

სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგიურ საზოგადოებასთან საუბრით გამოიკვეთა, რომ მათ ზუსტად ესმით სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განხორციელე შეამოწმე-განავითარე. არასისტემურად, თუმცა სკოლას აქვს პრაქტიკა და ახორციელებს ხარისხის მართვას ამ ციკლის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში თანამშრომელთა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გასაჩივრების დეტალური პროცედურები გაწერილია დირექტორის 2024 წლის 14 აპრილის N2-34 ბრძანებაში. საჩივრების ეფექტური სისტემა შემდეგ ძირითად პრინციპებს უნდა ემყარებოდეს:

- ✓ წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების მხარდაჭერა;
 - ✓ საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა;
 - ✓ საჩივრების პროცედურების სიმარტივე;
 - ✓ გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვის/გამომიებისა და გადაწყვეტისათვის;
 - ✓ საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გამომიება და გადაწყვეტა. დოკუმენტში ასევე გაწერილია წარმოების ვადები. საჩივრებს განიხილავს დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან დისციპლინური კომიტეტი.
- ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ -ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N2-34 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N2-34. 15/04/2024) დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. ოქმებიდან ჩანს, რომ საბჭოს სხდომებზე განიხილება

სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის საკითხები. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და სკოლას შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

სკოლის შინაგანაწესი;

მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

დისციპლინური კომიტეტის შექმნის ოქმი;

გასაჩივრების დეტალური პროცედურები;

მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა განსაზღვრულია მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც გაწერილია ორმხრივი უფლება-მოვალეობები. სკოლას აქვს ქმედითი და მუდმივად განახლებადი ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ. პორტალზე skolebi.emis.ge სკოლას ატვირთული აქვს: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; შინაგანაწესი; სკოლის სტრუქტურა; სტრატეგიული განვითარების გეგმა; წლიური სამოქმედო გეგმა; სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ სკოლაში რეგულარულად ტარდება მშობელთა შეხვედრები, სადაც მშობლები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული დასტურდება მათი მუშაობის ამსახველი ოქმებით და პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებით, სადაც ნათლად ჩანს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;

სამეურვეო, მრჩეველთა და პედაგოგიური საბჭოების ოქმები;

კლასის დამრიგებლის გეგმა;

სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება სკოლის თანამშრომლების და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ. სკოლის შენობაში ვიზიტორის შესვლა კონტროლდება მორიგე მასწავლებლის მიერ, ვიზიტის შესახებ ინფორმაცია ტარდება ვიზიტორების აღრიცხვის ჟურნალში. დასვენებებზე, ყველა სართულზე, მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, 3 მანდატური, 4 დამლაგებელი და ექთანი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია 12 სათვალთვალო კამერა. 10 შიდა პერიმეტრზე და 2 გარე პერიმეტრზე. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ხელნაკეთი ევაკუაციის გეგმა.

სკოლას შეთანხმებულიაქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. (წერილი 15/04/2024; MIA 0 24 01128818).

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღებას სკოლა უზრუნველყოფს 04.04.2025 წლისთვის. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოსამზადებლად.

სკოლას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. 2024 წლის 2 აპრილს სკოლის დირექტორს გაგზავნილი აქვს წერილი, რომელშიც სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს თხოვს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და შესაბამისი წინადადებების მომზადებას. **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში მოწყობილი და აღჭურვილია სამედიცინო ოთახი. ექიმის პოზიციაზე სკოლამ 3-ჯერ გამოაცხადა კონკურსი და ვერ შეარჩია სათანადო კვალიფიკაციის მქონე კანდიდატი. შემდეგ სკოლის საშტატო განრიგში შეიტანეს ცვლილება და დაამატეს ექთნის შტატი.

დღეისათვის სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომელიც პირველად დახმარებას უწევს მოსწავლეებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N2-34 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური და სკოლის დირექცია. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი, მანდატურების მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერები, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლებში არსებობს ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეაგირების ერთგვაროვანი მექანიზმი, ეფექტიანად მართავს კრიზისებს (მათ შორის მოსწავლეებს შორის ძალადობაზე, ბულინგზე). სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უცხო პირთა გადაადგილებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლი ეხება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, როგორც სკოლის შიდა, ასევე, გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. (თუმცა არასაკმარისია) სკოლის შესასვლელში, დერეფნებსა და სველ წერტილებში განთავსებულია ურნები. სკოლის სისუფთავეზე პასუხისმგებელი არიან დამლაგებლები. საშტატო განრიგით განსაზღვრულია 4 დამლაგებლის შტატი. დამლაგებლის სამუშაო აღწერილობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში და პერსონალის მუშაობის შეფასების წესში. სკოლის დამლაგებლებს ევალებათ: უზრუნველყონ სკოლის შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილების და სასწავლო ინვენტარის სისუფთავის დაცვა. პერიოდულად განახორციელონ სკოლის შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილებისა და სასწავლო ინვენტარის სადეზინფექციო საშუალებით დასუფთავება. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის ყველა საჭირო რესურსით მომარაგებას. სკოლის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ნივთები და სადეზინფექციო საშუალებები ინახება ჩაკეტილ სივრცეში, პირვანდელი შეფუთვით. ყოველწლიურად ხდება წყლის ლაბორატორიული კვლევა, წელიწადში ორჯერ ხორციელდება მწერებისა და მრღნელების წინააღმდეგ სადეზინფექციო საშუალებები. სკოლის დერეფნებში სადეზინფექციო ხსნარი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლის ტერიტორიის დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება კვირის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ. მონიტორინგს ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი. სკოლის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექიმს. მასვე ევალება ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სასმელი წყლისა უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას და მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობის განახორციელება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის

ხელშეწყობა. სკოლაში ტარდება დასუფთავების აქციები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N 2-34 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია გამოყოფილ სივრცეში. მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვა ევალება საქმეთა მმართველს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-34; 15/04/2024 წელი) დამტკიცებულია ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია ინფორმაციის დამუშავების და დაცვის შესახებ პროცედურული საკითხები. სკოლის ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ლიცენზირებული პროგრამა, რომელსაც უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სკოლაზე მომარბეული თანამშრომელი. ასევე მუშაობის პროცესში იყენებს emis-ის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს, რომელიც უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით და დაცული ვებ-გვერდების გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენების პრაქტიკა სკოლას არ აქვს. **პირველადი ავტორიზაციის გამო ეს ინდიკატორი არ შეფასდა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ;

შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

წერილი სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან შენობის მდგრადობის დასადგენად;

სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება;

მასწავლებელთა მორიგეობის სია;

პედაგოგების პერსონალური მონაცემების გამოყენების თანხმობის ფორმა;

ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;

ფოტოსურათები საეკუაციო გეგმის და სახანძრო დაფის.

წყლის ანალიზის ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობა განთავსებულია კახეთის რეგიონში, ქალაქ ახმეტაში. სკოლის შენობა სამსართულიანია და საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. დირექციის განმარტებით, სკოლა ჩასმულია 2025-2026 წლის სარეაბილიტაციო გეგმაში. არსებული ვითარებით სასკოლო სივრცე და ასევე, ეზო შეძლებისდაგვარად მოვლილი და დასუფთავებულია. სასწავლო გარემო პოზიტიურია. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ბუნებრივსაფარიანი გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, სახელოვნებო კაბინეტი, სველი წერტილები შენობაში და ეზოში. სკოლის შენობაში არის 3 ოთახი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების განსათავსებლად, თუმცა არ არის მოწყობილი და ამიტომ სკოლა იყენებს მხოლოდ ერთ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცეს. მწირი რესურსები, რაც აქვთ, კლასებში შეაქვთ მასწავლებლებს. უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო

მეცნიერებების მასწავლებლები არიან მოტივირებულები, მოსწავლეებთან ერთად თავად ქმნიან რესურსებს. სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას და რესურსების განახლებას. სკოლაში სწავლობს 563 მოსწავლე. სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი, თითოეულ საკლასო ოთახში - ერთი ან ორი მაგნიტური დაფაა. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვა, შესვენებაზე კი - დასვენება. შენობა თბება ცენტრალური გათბობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებია: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი (შიდა), სადაც, ტარდება შიდასასკოლო და სკოლებს შორის სპორტული აქტივობები, სპორტული მოედანი (გარე), დერეფანი, ეზო. გარემო უსაფრთხოა, მოწესრიგებული და მყუდრო. არსებული ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას ქმნის, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლე, თუმცა სამომავლოდ, სრული ადაპტაციისთვის სკოლას ესაჭიროება ლიფტი. თუ ლიფტის მოწყობა ვერ მოხერხდება სასურველია სკოლამ საერთო სარგებლობის სივრცეები ჩამოიტანოს პირველ სართულზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა არის კულტურულ - საგანმანათლებლო და ინფორმაციული ერთეული, რომელიც თავისი ფონდებისა და რესურსების საშუალებით ეწევა საბიბლიოთეკო საქმიანობას, უზრუნველყოფს ხელსაყრელი პირობების შექმნას სწავლა-სწავლების ეფექტიანი გარემოს შესაქმნელად, საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვასა და დამუშავებას, კატალოგებისა და კარტოტეკების შექმნას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი კატალოგიზირებულია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. თუმცა საბიბლიოთეკო ფონდი მწირია, საჭიროებს განახლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. 2023-2024 სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლის ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობა. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლაში ირიცხება 12 სსსმ მოსწავლე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, მუშაობს 2 სპეციალური მასწავლებელი. მათთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგნის მასწავლებლებთან ერთად ჩართულები არიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განსაზღვრულია ისგ ჯგუფი. მათთან შეხვედრები იმართება გრაფიკის შესაბამისად, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, პანდუსი და მოწყობილი რესურსოთახი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, სამკითხველო, სარეკრეაციო შიდა და გარე სივრცეები, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი. სკოლაში არსებული სივრცეები გამოყენებულია როგორც შიდა სასკოლო ასევე რაიონული შეხვედრების და კონფერენციებისთვის. ტარდება ინტელექტუალური

კონკურსი „რა სად როდის“, სკოლა მასპინძლობს ეტალონის შესარჩევ კონკურსებს. ტარდება რაიონული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას. სკოლა მიზნობრივად იყენებს სკოლის დერეფნებს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისთვის. ვიზიტის პერიოდში სკოლის დერეფნებში ბევრი ასეთი ნამუშევარი დაგვხდა. სკოლა ამაყობს თავისი კურსდამთავრებულებით, სოციალურ გვერდზე აქვს რუბრიკა „მეორესკოლელი“, სადაც საზოგადოებას აცნობს მათ წარმატებულ საქმიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიბლიოთეკის დებულება

სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელს აქვს პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს 25 პერსონალური კომპიუტერი და 18 ლეპტოპი, 6 პროექტორი, 2 პრინტერი. სამასწავლებლოში მოთავსებულია 1 კომპიუტერი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ონლაინ რესურსებს, ვირტუალურ ლაბორატორიას. ამიტომ გაკვეთილები, საჭიროებიდან გამომდინარე, ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლა თანამშრომლობს ახმეტის ტექნოპარკთან. მოსწავლეებს, მასწავლებლის დახმარებით, საინტერესო პროექტები აქვთ განხორციელებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. ამ გეგმაშია გაწერილი სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ხელმისაწვდომობა, საზიარო სივრცეების გამოყენების გრაფიკი, ტექნიკით სარგებლობის წესი, ინფორმაციის სანდოობა და დაცულობა. სკოლაში ჩართულია Wi-Fi თუმცა ვერ ხერხდება მთელი სასკოლო სივრცის დაფარვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები;

კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტო მასალა;

ციფრული განვითარების გეგმის ცხრილი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის N2-34 ბრძანებით (15.04.2024) დამტკიცებულის საქმისწარმოების წესი. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, ახორციელებს ოფიციალურ მიმოწერას. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, სკოლის დირექციასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და წარმოებს მათი რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული eflow სისტემის მეშვეობით და მატერიალური ფორმით. კანცელარიაში შემოსული ოფიციალური კორესპონდენცია მიიღება, სკანერდება და აღირიცხება უფლებამოსილი პირის მიერ. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და

მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით, იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში, თიმის პლატფორმა და ვებგვერდი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შევსებულია ყველა სავალდებულო ველი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისი წესების გათვალისწინებით იცავს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდებს და პროცედურებს. სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან კომუნიკაციის უზრუნველყოფას. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის ანგარიშს აბარებს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს, პარლემენტს. ასევე საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს ანგარიშს. ამისთვის, დირექტორის ბრძანებით ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი.

ასევე, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარადგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, საგანმანათლებლო პროცესის, სწავლების ხარისხის და სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სოციალური გვერდის ლინკი.
2. ვებ გვერდის ლინკი
3. სოციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N 2-32 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. სასკოლო თემთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდს. ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სასკოლო ცხოვრების სიახლეები და აქტივობები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებები. სკოლას ყველა საჭირო ინფორმაცია გამოქვეყნებული აქვს ვებგვერდზე skolebi.emis.ge. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ვებგვერდს და ფეისბუქ გვერდს მართავს სკოლის დირექციის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი, უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლისთვის თემთან სწორი კომუნიკაცია წარმოადგენს პრიორიტეტს, შესაბამისად სკოლა დაინტერესებულია ისეთი ტიპის უკუკავშირით რომელიც ამარტივებს და ეფექტურს ხდის კომუნიკაციას სკოლასა და თემს შორის. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სასკოლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებრივი აზრის შესატყობად იყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს, მაგალითად, სკოლის მეილი, სატელეფონო შეტყობინება, სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელიდან და მშობელთა კრებებიდან შემოსულ ინფორმაციას. ასევე პირისპირ შეხვედრების დროს გამოთქმულ მოსაზრებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას ვიზიტის პერიოდში ინფორმაცია ასახული ჰქონდა skolebi.emis.ge პორტალზე. განთავსებულია: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა, სასკოლო პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ბიუჯეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. skolebi.emis.ge პორტალზე განთავსებულია: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა, სასკოლო პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ბიუჯეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

skolebi.emis.ge პორტალი

სკოლის ფეიბუქ გვერდი

სოციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ხარჯები. წლის ბოლოს ბიუჯეტი იქმნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია საზოგადოების ინტერესი, კათედრების, დირექტორის მოადგილის, სპეც მასწავლებლის მოთხოვნები, ასევე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტის საჭიროებები. ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლას ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით, 20 ნოემბრამდე, დამტკიცებული აქვს სკოლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა. დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიურ ფინანსურ ანგარიშს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში ყოველწლიურად, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, ხდება მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება. დაგეგმვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შეძლებისდაგვარად ხდება მათი ინტერესების გათვალისწინება, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი დინამიურია, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცვლილებების შეტანა და დამტკიცება. სკოლა წლის ბოლოს ფაქტობრივ ბიუჯეტს ადარებს საპროგნოზოს და რეალისტურად გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიუჯეტი;

კორექტირებული ბიუჯეტი;

2024 წ. შესყიდვების განხორციელების გეგმა;

ბრძანება შესყიდვებზე პასუხისმგებელ პირზე;

შესყიდვების წესის და ფორმის დამტკიცების ბრძანება;

სამეურვეოს სხდომის ოქმი N9 ფინანსური ანგარიშის და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბერს. შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლეთა მოვალეობები, მოსწავლის წახალისების ფორმები, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და სახდელები, მოსწავლეთა დისციპლინური წარმოება, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, მოსწავლის ჩაცმულობის წესი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც გაწევრიანებული არიან როგორც საშუალო ისე საბაზო საფეხურის მოსწავლეები, ისინი მონაწილეობენ დისციპლინურ კომიტეტში და სამეურვეო საბჭოში, სადაც ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. თვითმმართველობის არჩევნები გამჭვირვალე და სამართლიანია, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლებები. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეების მიერ პასუხისმგებლობისა და საკუთარ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანის მიზნით შემუშავებულია ქცევის წესები, დაწესებულია მოსწავლეთა მორიგეობა საკლასო ოთხებში. სკოლაში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, სასკოლო გარემო მორგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე - რესურსოთახი, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი. მოსწავლეთა უფლებების დაცვას ხელს უწყობს ინდივიდუალური შეხვედრები, სადამრიგებლო საათი, მანდატურების მიერ კლასებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმებია. მშობლის განცხადების საფუძველზე ხდება მოსწავლის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება, მობილობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. შინაგანაწესი გავრცელებულია სკოლაში და ხელმისაწვდომია ყველასთვის, ასევე გამოქვეყნებულია პორტალზე Skolebi.emis.ge. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები შეხვედრებზე (პირისპირ და ვირტუალურ სივრცეში) აცნობენ მოსწავლეთა მშობლებს შინაგანაწესის შინაარსს. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს აქტივობებს, რომლებიც მშობლებისა და მოსწავლეების ცნობიერებას აამაღლებს, მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების, მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. 2022-2024 წლებში სკოლაში განხორციელებულია სასკოლო პროექტები: „ადამიანის უფლებები“ და „კონფლიქტების მართვა“. განხორციელებული პროექტების მიზანი იყო:

მოსწავლეებში ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების, განსხვავებული აზრის პატივისცემის და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბება.

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება;

- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;
- მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბება, სრულყოფა.

სწორი კომუნიკაცია, თვითშეფასების ამაღლება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო წლის დასაწყისში პირველ კლასში შემოსულ მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დადებულია ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია ინფორმაცია, უფლება-მოვალეობების გაცნობის პერსონალური ინფორმაციის დაცვის (ფოტოების, მონაცემების, აქტივობების გასაჯაროების შესახებ თანხმობა, რომელშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი), წიგნებისა და ლექტორების თაობაზე ხელშეკრულებები აკისრებს მშობლებს მოვალეობას წიგნების მოვლისა და სასწავლო წლის ბოლოს ბიბლიოთეკისთვის დაბრუნებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;

მობილობის ბრძანება;

სკოლის შინაგანაწესი;

მშობელთა შეხვედრის ოქმი;

1 კლასის კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა;

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

- სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 15.04 N2-34 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლაში მოსწავლის მიღების, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა თუ აღდგენის პროცესებთან დაკავშირებით, განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელ პირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
- ჩარიცხვისა და შემდგომ გასავლელი ეტაპების თაობაზე სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხორციელდება შემუშავებული მექანიზმების და არსებული კანონის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
- კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მშობლებს ინფორმაციას აწვდის სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების პირობების შესახებ. აცნობს სასკოლო კურიკულუმს, შინაგანაწესს, კლუბების მუშაობის წესებსა და პირობებს. ყველა ინფორმაცია გასაჯაროებულია სოციალური ქსელის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
- რამდენადაც სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები;
სკოლის შინაგანაწესი;
მოსწავლის მობილობის ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 15.04 N2-34 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. ახალი მოსწავლის სკოლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ჩართულია კლასის დამრიგებელი, რომელიც მოსწავლეს აცნობს სასკოლო გარემოს, აწვდის ინფორმაციას ამ გარემოში სხვადასხვა სივრცის შესახებ, აცნობს შინაგანაწესს, სკოლის მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოებს და ესაუბრება მის ფუნქცია-მოვალეობებსა და უფლებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს კარგი ტრადიცია ბაღიდან სკოლაში მოსწავლეების ტრანზიციის. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში იწვევენ ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის მოსწავლეებს, ათვალთვლებინებენ სკოლის შენობას და აცნობენ სასკოლო გარემოს. მათ საკლასო ოთახებში ახვედრებენ განსაკუთრებულ გარემოს. სასწავლო წლის დაწყებისას ეწყობა პერველკლასელთა მიღების საზეიმო ღონისძიება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც დაადასტურებს მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. მასწავლებლები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მოსწავლე, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, მშობლის თხზმობის საფუძველზე იღებს მასწავლებლისგან მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ სკოლა გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს მოსწავლეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა ახორციელებს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც განსაზღვრული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმაში. დროულად ხდება რეაგირება ყველა განცხადებაზე. სკოლის ადმინისტრაციაში შემოსულ განცხადებას/საჩივარს სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს და იძლევა უკუკავშირის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. მოსწავლეთა კონსულტაცია მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

